საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 174^{17} მუხლი:

„მუხლი 174^{17}. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დარღვევის ამსახველი ელექტრონული რუკის ან მისი ბეჭდური გამოცემის, აგრეთვე ასეთი გამოსახულების შემცველი სხვა საგნის გამოყენება, საქართველოში შემოტანა, გადაზიდვა ან საქართველოდან გატანა

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დარღვევის ამსახველი ელექტრონული რუკის ან მისი ბეჭდური გამოცემის, აგრეთვე ასეთი გამოსახულების შემცველი სხვა საგნის გამოყენება, საქართველოში შემოტანა, გადაზიდვა ან საქართველოდან გატანა –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა – 300 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.“.

2. 209-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42^{10}, 58^{3}, 86^{1}, 107^{1}–107^{3}, 107^{5}, 108-ე, 114^{1}, 114^{2}, 116-ე–116^{3}, 118-ე–119-ე, 120-ე–123-ე, 125-ე და 127-ე მუხლებით, 127^{1} მუხლის პირველი–მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 128-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 129^{1} მუხლით, 131-ე მუხლით (საავტომობილო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისთვის), 134-ე, 135^{2}–135^{4}, 139^{5}, 152^{7} და 152^{8} მუხლებით, 153^{6} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 155-ე და 170-ე მუხლებით, 171-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 171^{1} მუხლით (ყველა დაწესებულების (გარდა საქართველოს თავდაცვის ძალებისა და პენიტენციური დაწესებულებისა), სატრანსპორტო საშუალების (გარდა რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა) მძღოლის, რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მესაკუთრის/მფლობელის, აგრეთვე ფიზიკური პირის მიმართ (გარდა ფიზიკური პირის მიერ რკინიგზის ტრანსპორტში ჩადენილი დარღვევისა)), 174^{15} მუხლით (გარდა 174^{15} მუხლის მე-4 ნაწილისა), 174^{16}, 174^{17}, 176^{1} და 176^{3} მუხლებით, 177-ე მუხლით (გარდა 177-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-8, მე-12 და მე-13 ნაწილებისა), 177^{15} მუხლით, 181^{1} მუხლის პირველი ნაწილითა და 182^{1}, 182^{2}, 190-ე და 190^{2}–191^{1} მუხლებით.“;

ბ) 2^{1} ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^{1}. ამ კოდექსის 42^{10}, 86^{1}, 114^{2}, 152^{7} და 152^{8} მუხლებით, 153^{6} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 171^{1} მუხლით (ყველა დაწესებულების (გარდა საქართველოს თავდაცვის ძალებისა და პენიტენციური დაწესებულებისა), სატრანსპორტო საშუალების (გარდა რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა) მძღოლის, რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მესაკუთრის/მფლობელის, აგრეთვე ფიზიკური პირის მიმართ (გარდა ფიზიკური პირის მიერ რკინიგზის ტრანსპორტში ჩადენილი დარღვევისა)) და 174^{17}, 177^{15}, 190-ე და 190^{2} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას, თუ შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ადმინისტრაციულ გამოკვლევას არ საჭიროებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი ადგილზე განიხილავს ამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე ადებს ადმინისტრაციულ

სახდელს.“.

3. 219-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები განიხილავენ ამ კოდექსის 153^{7}, 153^{8} და 153^{10}–153^{12} მუხლებით, 155^{3} მუხლის პირველი–მე-10 ნაწილებით, 155^{5} მუხლით, 155^{6} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 165-ე მუხლით, 171^{5} მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებითა და 194-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, აგრეთვე თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში – ამ კოდექსის 42^{10} მუხლით, 82^{5} მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 127^{1} მუხლის მე-2, 3^{1} და 3^{2} ნაწილებითა და 129^{1}, 157-ე, 174^{17}, 177^{14}, 177^{15}, 191^{1} და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს.“;

ბ) მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42^{10} მუხლით, 82^{5} მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 155^{3} მუხლის პირველი–მე-10 ნაწილებით, 155^{5} მუხლით, 155^{6} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 171^{5} მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებითა და 174^{17}, 177^{15} და 179^{3} მუხლებით, – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილ პირებს.“;

გ) მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ კოდექსის 42^{10}, 174^{17} და 177^{15} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას, თუ შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ადმინისტრაციულ გამოკვლევას არ საჭიროებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილი პირი ადგილზე განიხილავს ამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე ადებს ადმინისტრაციულ სახდელს.“.

4. 239-ე მუხლის:

ა) მე-13 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. ამ კოდექსის 42^{10}, 45-ე, 45^{1}, 58^{3}, 81-ე, 86^{1}, 100^{2}, 107-ე, 107^{5}, 114^{1}, 114^{2}, 116-ე–116^{3}, 118-ე–123-ე, 125-ე და 127-ე მუხლებით, 127^{1} მუხლის პირველი–მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 134-ე, 135^{2}–135^{4}, 139^{5}, 150-ე, 152^{7}, 152^{8} და 153^{3} მუხლებით, 153^{6} მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებითა და 166-ე, 173-ე, 173^{14}, 173^{15}, 174^{1}, 174^{15}, 174^{16}, 174^{17}, 175^{2}, 176^{1}, 176^{3}, 177-ე, 177^{1}, 177^{15}, 180-ე–183-ე, 190-ე, 190^{2}, 191-ე და 199^{1} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოები, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 45^{1}, 166-ე და 197^{2} მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევებში შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი.“;

ბ) მე-19 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19. ამ კოდექსის 82^{5} მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 91^{2} მუხლით, 91^{3} მუხლის პირველი ნაწილით, 127^{1} მუხლის მე-2 ნაწილით, 135^{2} მუხლის მე-2 ნაწილით, 153-ე, 153^{1}, 153^{5}, 155^{1}–155^{3}, 155^{5} და 155^{6} მუხლებით, 155^{7} მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, 155^{9}, 155^{10}, 157-ე, 158-ე, 164-ე, 164^{4} და 165-ე–165^{3} მუხლებით, 171^{4} მუხლის მე-2 ნაწილითა და 171^{5}, 178-ე, 179^{3}, 194-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს,

აგრეთვე თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში – ამ კოდექსის 42 მუხლით, 127 მუხლის 3 და 3 ნაწილებითა და 174^{17} და 177^{15} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილი პირები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2020 წლის 2 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

22 მაისი 2020 წ.

N5925-სს